წელიწადი მე-2-ე

სამშაბათი, 17 მაისი

# სამშობლო

№ 357

**გაზეთის ფასი:**
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს ... მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად

**განცხადების ფასი:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანა გვერდზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

**ტელეფონი № 76**

გულდამწვარი მშობლები კონდუკტორი მიხეილ ბეჟანის ძე, დედა პელაგია, ძმა გიორგი, და მარუსია ბებია, ბიძები: გლახუა და ყარამან ქოხონელიძეები, ეპიფანე და ონისიმე გოლეთიანები და მამიდაშვილი სარდიონ ყურაშვილი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ ტრაგიკულად დაკარგვას პირველდაწყებითი, ქალაქის მეორე სასწავლებლის მეორე კლასის მოწაფის უძვირფასესის უფროსი შვილისას

## პანტელიკოსას.

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 17 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე, საკუთარი სახლიდან ვაგზლის ზევით მეორე შესახვევში.

1—1 170

---

## ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 16 მაისიდან ახალი პროგრამა.

**ოთხფეხა მეგობრები,** ბუნებიდან გადაღებული საფრანგეთის კინემატოგრაფიული სინდიკატის მიერ.

## მათხოვარი ქალი.

**ღვთის გულისთვის მიეცით მას მოწყალება.**

დრამა 4 ნაწილად ცნობილ არტ. ღისენკოსა და მოზჟუხინის მონაწილეობით.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 19 მაისიდან ახალი პროგრამა.

**სიკვდილის მეუღლე.** დასურათხატებული კინო დრამა 5 ნაწილად. უმთავრეს როლში გამოდის ცნობილი მსახიობი ქალი, მთელ დედამიწის ზურგზე სილამაზით განთქმული, „ბრილიანტების მეფეთ" წოდებული, **ლინა კავალიერი.** დაწვრილებით იხილე მესამე გვერდზე განცხადება.

---

## ელექტრო „ამპირი" თეატრი

ორშაბათიდან, 16 მაისიდან ახალი პროგრამა

**ოთხფეხა მეგობრები**

## სისხლში მოსვრილი ყვავილი.

დრამა 5 ნაწ. სატახტო ქალაქის არისტოკრ. ცხოვრებიდან ცნობილ არტისტების ჩერნოვისა, მიჩურინისა და ტურჟანსკის მონაწილეობით.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 19 მაისიდან ახალი პროგრამა.

**პატე. ჟურნალი №340.** მიმდინარე ამბები. **ბრჭყალებში.** მხატვრული დრამა ხუთ ნაწილად ცნობილ იტალიელ მსახიობ ქალის ესპერის და მსახიობთა ემილიონ ჭიონეს და ალბერტო კოლოს მონაწილეობით.

ადგილების ფასი **„ამპირსა"** და **„რადიუმში"**; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

---

## ვენახის საწამლათ.

იყიდება ცნობილი ქაკმენის სითხე, რომელიც ვაზს იცავს შემდეგ სნეულებისაგან: მილდიუმიდან, იოდიუმიდან და სხვადასხვა მავნე მწერებისაგან. ამ სითხით წამლობენ შვიდი წლის განმავლობაში და ნაყოფიც დიდია.

წამლობისათვის საჭიროა კოლოფი (ფხვნილი) **„ტრინდენისა"**. იყიდება აგრეთვე პულვერიზატორი და სამარგელი მანქანა ვენახებისათვის.

მისამართი: სავაჭრო სახლი „კლოჟგურული" ქუთაისი, კახიანოური. თვ.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სიხათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №. 46, ტელეფონი № 87 14 თ

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით, $12^1/_2$ საათ. საღ. 6—8 საათ. მისამართი: ლვვაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმი** **ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს სამკურნალო წყლების გამოსარკვევად, ავათმყოფების მიღება მან დროებით შესწყვიტა.

**ექიმი** **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ,

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

**ამზადებს**

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის. პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძისა. თ.

---

**ოთხშაბათს, 18 მაისს, საღამოს 8½ საათზე**

ელექტრო თეატრ **„რადიუმის"** შენობაში

**კატო მიქელაძის** მიერ წაკითხული იქნება

## ლექცია

## რუსთაველი და სიმბოლისტები.

**ლექციის თეზისები:**

1. მხატვარი, როგორც შემომქმედი და აღმზდელი, 2. ხელოვნების დანიშნულება, 3. ესთეტიური გრძნობა, 4) პრერაფაელისტები, 5. გიდროპატები, დეკადენტები, სიმბოლისტები, ესთეტიკები, პარნასიელები და დემონისტები, 6. საფრანგეთის სიმბოლისტები და ჩრდილოეთის სიმბოლისტები, 7. იბსენი, 8. ბოდლერი, ვერლენი, კატულ-მენდენსი, დეზესენტი და სხვა, 9. ესკიზი შოთა რუსთველზე ბ-ნი რობაქიძისა, 10. სიმბოლიზმი „ვეფხის ტყაოსანში" ბ-ნი რობაქიძის თვალთახედვით.

ბილეთები იყიდება „რადიუმის" კასაში დილის 10—3 საათამდე და საღამოს 5 საათიდან ლექციის დაწყებამდე.

171 2—1

---

## ზედამხედველი კომიტეტი

### ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო მიხეილის ბანკისა ქუთაისში საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის რწმუნებულთა მორიგი ჩვეულებრივი კრება

დანიშნულია ქ. ქუთაისში, ამავე ბანკის შენობაში 22 მაისს, **1916 წლისა, დილის 10 საათზე.**

კრება, თანახმათ ბანკის დებულების 89-ე პარაგრაფის შენიშვნისა, კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავათ იმისა, თუ რამდენი რწმუნებული დაესწრება მას.

ბანკის რწმუნებულთა კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები:

1, 1915 წლის ანგარიში ბანკის ოპერაციების შესახებ ბანკის ზედამხედველი კომიტეტისა, გამგეობისა და დამფასებელი კომისიის მოხსენებებით;

2, მოხსენება ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის შეერთებული სხდომისა საყოველთაო სასარგებლო თანხის განაწილების თაობაზე;

3, ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში;

4, გამგეობის მოხსენება ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ;

5, გამგეობის მოხსენება ბანკის დებულების ზოგიერთი პარაგრაფის შეცვლასა და შევსებაზე;

6, კომისიის მოხსენება ბანკზე დარჩენილ მამულების წარმოების ლიკვიდაციისა და ხარჯების შემცირების შესახებ;

7, კომისიის მოხსენება, თუ რა წესით მიიღონ მონაწილეობა ბანკის რწმუნებულთა კრების წარმომადგენლებმა ქართული გიმნაზიის მართვა-გამგეობის საქმეში;

8, კომისიის მოხსენება მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკში ქართულ ენაზე საქმის წარმოების შესახებ;

9, გამგეობის მოხსენება ბანკის მსესხებელთა მიერ რწმუნებულების ამოსარჩევათ **1917—1920** წ.წ. ვადის დანიშვნის გამო (ბანკის დებულების 82 პარაგრაფი);

10, ზედამხედველი კომიტეტისა და ბანკის გამგეობის შეერთებული სხდომის მიერ შემუშავებული მოხსენება, თუ როგორ გადაკეთდეს უოფილი მამული ნ. ი. სვიმონოვისა ბანკის მოსათავსებლათ;

11, არჩევანი: ზედამხედველი კომიტეტის 2 წევრისა, გამგეობის თავჯდომარისა, ერთი წევრისა და ერთი კანდიდატისა ნაცვლად იმ წევრებისა, რომელთაც ვადა უთავდებათ.

---

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

(უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისგან)

**პეტროგრადი.** 13 მაისი. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. ვიშნევის ტბის და ჩერმნიცის ჩრდილოეთ მიდამოებში გერმანელთა რაზმი მიუახლოვდა რუსთა თხრილებს, მაგრამ მოიგერიეს. სხვა ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

**კავკასიის ასპარეზი.**

ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი.** 12 მაისი ოფიციალი. საღამოს ცნობა. მაასის მარცხენა ნაპირას, „304" მაღლობთან, ჩვენმა მტრებმა საშინელი საარტილერიო სროლა გააჩაღეს. მარცხენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლის შემდეგ 5 საათ. მტერმა ორდემონის ტყესთან და ტომონის ფერმასთან იერიში მოიტანა, მაგრამ ზარალით უკუვაგდეთ, მხოლოდ ერთ ადგილას მტერი შეიჭრა ჩვენს თხრილებში და გამაგრდა. დუომონის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლაა. ოდიკურთან სენ-მიელის ჩრდილოაღმოსავლეთით ჩვენმა შორს მსროლელმა ზარბაზნებმა მტრის სასურსათო ბანაკს ცეცხლი გაუჩინა. სხვა ადგილებში განუწყვეტელი საარტილერიო ბრძოლაა. ჩვენმა მფრინავმა მტრის მფრინავი ვოს ჩრდილოეთით ჩამოაგდო. ეტინის მიდამოებში ჩვენმა მფრ. ნავებმა მტრის ორი ჰაეროპლანი დააზიანეს და ძირს ჩამოუშვეს.

**პარიზი.** 13 მაისი, დღის ცნობა არგონებში, ფილმოსტთან ნაღმი ავაფეთქეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე, ავოკურის ტყის და მორტჰომის უბნებში არტილერია გამუდმებით მოქმედებს. ამ დღეებში გერმანელები შეეცადენ იერიშების მოტანას, მაგრამ განზრახვა ჩავუშალეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე ოდრემონის ტყის და ტიომონის ფერმის შუა დაკარგული თხრილები დავიბრუნეთ. ფერმის ჩრდილოეთით მთელი ღამის განმავლობაში წინ ვიწევდით. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში შედარებით სიწყნარეა.

**ჰავრი.** 12 მაისი. ბელგეთის ცნობა. პერვიზის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლა გრძელდებოდა, დიქსმიუდეს და მის მიდამოებს ყუმბარებით ცეცხლი გავუჩინეთ.

**ლონდონი.** 12 მაისი. ინგლისის ცნობა. ლოოსზე ნაღმებით ბრძოლაა. გუშინ ღამით და დღეს ასპარეზის დანარჩენ ადგილებში საარტილერიო ბრძოლაა.

**რომი.** 13 მაისი, „სტეფანის სააგენტო" იტყობინება: 10 მაისს, საღამოს, ორმა ჩვენმა ნაღმოსანმა განდევნა მტრის კონტრნაღმოსანი ადრიატის ზღვის ჩრდილო ნაწილიდან.

**ლონდონი,** 13 მაისი. ოფიციალი. ლეკი გვაცნობებს, 11 მაისს, მტერი მაგრდება ტიგროსის მარჯვენა ნაპირზე, სანაიატის მახლობლად, ინგლისის არტილერია ნაპირიდან მარჯვედ ისროდა.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

მესოპოტამიაში რუს-ინგლისელთა ჯარის შეერთების გამო სტამბოლში მოხდა თათბირი გერმანელ და ოსმალელ სარდლებისა, რომელთაც გადასწყვიტეს, ყოველგვარი და უკიდურესი ზომები მიიღონ ბაღდადის შესანარჩუნებლად.

როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, ამ მიზნით მათ უკვე გამოუგზავნიათ კავკასიისკენ სტამბოლში მყოფი 20 ათასი გერმანელი, 10 ათასი ბულგარელი და 4 ათასი ავსტრიელი ჯარის კაცი.

— —

ბაზელიდან იუწყებიან: კრონპრინცმა ვერდენთან მისაშველებლათ ბავარიის ჯარის ორი კორპუსი მოითხოვაო.

— —

ვერდენის ოპერაციის საწარმოებლად კრონპრინცის სამხედრო შტაბს ახალი გეგმა შეუდგენია. ამ გეგმის მიხედვით გერმანია არ დაერიდება არავითარ მსხვერპლს და განუწყვეტლივ უსასტიკეს იერიშებს აწარმოებს. კრონპრინცს იმედი აქვს, რომ ვერდენის ბედს მალე გადასწყვეტს, რადგანაც მოწინავე მაღლობებ უკვე დაუპყრია გერმანიის ჯარს.

— —

ოსმალეთის სამხედრო შტაბს სმირნის დასაცავად 80 ათასი გერმანელი და 4 ათასი ავსტრიელი ჯარის კაცი გაუგზავნია. ეს ჯარი სულ ამ მოკლე ხანში მოსულა სტამბოლში. წინეთ განზრახვა ჰქონიათ, რომ იგი კავკასიის ასპარეზზე გაე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის დღიური.

**ვერდენის** მიდამოებში გამძაფრებული ბრძოლა გრძელდება. გერმანელებს ახლა ხელთ უპყრიათ „304“ მაღლობის კალთები და აქედან წინ იწევენ. კრონპრინცს ვერდენის ბრძოლაში ორი კორპუსი ახალი ჯარი მიშველებია.

**რუსეთის ასპარეზზე** სხვადასხვა უმნიშვნელო შეტაკება ხდება.

**კავკასიის ასპარეზზე** ოსმალთა შემოტევას ახლა გერმანშაჰის მიმართულებით მოელიან, რადგან ამ მიმართულებით რუსები მოსულს დაემუქრენ, რომელსაც ოსმალეთისთვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

**ბალკანეთზე** ვერდენის სანაპიროებთან წვრილმანი შეტაკებებია.

**იტალიის ასპარეზიდან** ახალი ცნობა არ მოსულა.

გზავნათ, მაგრამ, რადგან ამ ბოლო დროს მეტად საშიში შეიქნა სმირნის მდგომარეობა, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ოტომანთა იმპერიისათვის, ამიტომ სმირნის დასაცავად მიუშველებიათ.

— —

როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ ახლო მომავალში მოხდება ცენტრალ მოკავშირე სახელმწიფოთა სარდლების თათბირი გეგმის შესამუშავებლათ, თუ როგორ აწარმოონ სამხედრო მოქმედება სალონიკთან და დოირანთან. ამბობენ, ამ ოპერაციების მთავარ ხელმძღვანელად, ფელდმარშალი მაკენზენი იქნებაო.

— —

ინგლისის მთავარ წრეებს იმედი აქვთ, რომ ომი 1917 წ. დასრულდება.

— —

„ბირჟევია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი შუმსკი სწერს: მესოპოტამიაში რუს ინგლისელთა ჯარის შეერთება მრავალმხრით არის დიდმნიშვნელოვანიო. ამ ჯარს შეუძლია პირდაპირ ბაღდადს დაემუქროს, ანკუტ ელ-ამარასკენ დაიძრას და ან კიდევ მოსულის რაიონის ხელში ჩაგდება განიზრახოს, რომლის დაკარგვაც ამბობს შუმსკი, იმპერიის არსებობის მოსპობათ უნდა ჩაითვალოსო.

— —

მოსულისა და ბითლისის მიმართულებით ოსმალებს ახალი ჯარებისთვის მოუყრიათ თავი და მკაცრ შემოტევებს იწყებენ.

— —

იტალიელებს ავსტრიელები ბალკანეთზეც დაემუქრენ. ამ მოკლე ხანში ავსტრიის შტაბს გადაუწყვეტია საერთო შეტევა დაიწყოს ვალონის წინააღმდეგ, სადაც იტალიის ჯარი იმყოფება.

— —

ბალკანეთზე, ვარდარის ნაპირებთან, საარტილერიო ბრძოლაა.

— —

ამ ბოლო ხანს გერმანიის იმპერიის კანცლერის უფლებები ძლიერ გაუფართოვებიათ. კანცლერს ბეთმანჰოლვეგს უფლება ეძლევა დამოუკიდებლათ მოაწესრიგოს სურსათ-სანოვაგის საკითხი. დღეიდან ბეთმანჰოლვეგს ემორჩილება იმპერიაში მომქმედი ყველა სასამართლო და რკინის გზების მთავარი გამგეობა.

— —

ვენაში გაასამართლეს 35 სერბიელი, რომელთაც ფრანც ფერდინანდის მკვლელობის მოწყობაში ედებოდათ ბრალი.

— —

ტრანსილვანიაში ავსტრიელებს სამი დივიზია გამოუგზავნიათ. ამ ჯარს მინდობილი აქვს ავსტრია რუმინის საზღვრების თვალყურის დევნება.

— —

საბერძნეთის მეფემ სადარბაზოდ მიიღო ოსმალეთის დესპანი.

— —

### პოლონელთა შორის.

პეტროგრადის პოლონელებს განათლების სამინისტროსთვის თხოვნით მიუმართავსთ, რათა ნება დართონ მათ გახსნან ქ. პეტროგრადში უმაღლესი კურსები ორივე სქესისთვის პოლონური ენის ისტორიის შესასწავლად. თხოვნაში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ ამ ბოლო ხანს პოლონელ ახალგაზდობაში მეტად ძლიერდება გათვითცნობიერების და სამშობლო ენა-ლიტერატურა ისტორიის შესწავლის სურვილი. განათლების სამინისტრო პოლონელთა თხოვნას თანაგრძნობით შეგებებია

— —

გაზეთ „ნოიე ვაინე ჟურნალ“-ში დაბეჭდილია ფელდ-მარშალ პრინც ლეოპოლდ ბავარიელის აზრი პოლონეთის შესახებ. როგორც ვიცით, ლეოპოლდის ჯარმა აიღო ვარშავა და დღემდის თავის ჯარის მთავარი სადგომი ვარშავაში აქვს.

პოლონეთის მომავალ ბედის შესახებ პრინცს უთქვამს: ჯერჯერობით გერმანელებს სავსებით არ გადაუწყვეტიათ პოლონეთის საკითხი. ასე იქნება თუ ისე, უთქვამს ლეოპოლდს, პოლონეთი უსათუოდ დამოუკიდებელ ერად იქნება ცნობილიო.

— —

რიგის ფრონტზე ამ ბოლო დროს სიწყნარე ჩამოვარდნილია.

## ქ. ქუთაისი, 17 მაისი.

მეფის ნაცვლის მ.ჯ.რ მოწვეულმა საერობო თათბირმა, რომელიც უკვე დასრულდა და რომელმაც უპირატესობა 1890 წლის ერობას მისცა, რადგანაც სულ არარაობას, ცოტა რამ მაინც ამჯობინა, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, როგორც ადგილობრივსა, ისე რუსეთის პრესაში

პირველ ყოვლისა ახმაურდენ სომხები. ახმაურდენ იმიტომ, რომ მათთვის საინტერესო იყო არა ერობა, როგორც ეგეთი, არამედ აღსრულება იმ დიდი ხნის სურვილისა, რომ როგორმე მოეხდინათ გადამიჯვნა დღეს არსებულ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულებისა (გუბერნიებისა, ოლქებისა, მაზრებისა) ე. ი. მათი სურვილი იყო მთავრობას თითოეული გუბერნიისა, თუ ოლქისათვის ჩამოეჭრა ის ადგილები, სადაც სომეხ მცხოვრებთა რიცხვი სხვა ეროვნების მცხოვრებლებზე გაცილებით მეტია, შეეერთებინა, შეეწებებინა ერთი ერთმანეთისათვის ეს ჩამონაჭრები და ამ გვარად შეექმნა ერთი მთლიანი ტერიტორია - მომავალი სომხეთისა. 1890 წლის ერობა კი ხელუხლებლად სტოვებს დღევანდელ ადმინისტრატიულ დაყოფას კავკასიისას და ჩვენ სრულიადაც არ გვიკვირს, რომ სომხებმა ასეთი აურზაური ასტეხეს თათბირზე, არ გვიკვირს იმიტომ, რომ მთელი წლობით ნაოცნები სომხებისა ქვიშაზე აშენებული კოშკები აღმოჩნდა და მათი მამულიშვილური განზრახვანი დაიფუშა.

ჩვენ გვაკვირვებს მხოლოდ კიჟინა ქართული სოციალისტური პრესისა, როცა ივიწყებენ სომხების ზემო აღნიშნულ განზრახვას და მათ „რადიკალურ“ გამოსვლას თათბირზე სომხების პროგრესისტობით ხსნიან.

როდის, რომელ შემთხვევაში გამოიჩინა ჩვენში სომხის პლუტოკრატიამ პროგრესისტობა წინად, თუ ახლა?

აიღეთ საქართველოს ისტორია, გულდასმით გადაათვალიერეთ იგი და თუ თქვენ ერთ ფურცელს მაინც მიჩვენებთ, რომელი ფურცელიც ჰმოწმობდეს სომხების მიერ ჩვენთვის თავგამოდებას, ჩვენი უფლების დაცვისათვის ბრძოლას, ჩვენ სამარადისოდ უარს ვიტყვით სომხების მხილებაზე.

მაგრამ თქვენ ასეთს ფურცელს ჩვენს გრძელს ისტორიაში ვერ გვიჩვენებთ.

მას შემდეგ, რაც სომხეთმა დამოუკიდებლობა დაჰკარგა, დაიფანტა და შემდეგ ოსმალთა საწეწი შეიქნა, სომხის ერი იძულებული გახდა ათასგვარი კომბინაციები ეხმარა თავის ვინაობის შესანახად და სხვათა შორის საქართველოშიც დაიწყეს მოკალათება .. ნელ-ნელა ფეხი მოიკიდეს, გამდიდრდენ, გადიდგულდენ და ახლა ჭკუასაც გვასწავლიან.

ამ სიტყვებს ნურავინ ნუ ჩამოგვართმევს სომხის ერის სიძულვილში:

პირიქით, ჩვენ აღტაცებული ვართ სომხების ერთ სულოვან მოქმედებით. მათთვის არ არსებობს არც სოციალიზმი, არც კლასთა ბრძოლა, არც ქიშპი ერთმანეთისადმი, არც თავის შინაურ საქმეების გარეთ გამოტანა და ყბა ღიაობა. იგინი, დიდი თუ პატარა, ერთს ფიქრსა ჰფიქრობენ, ერთი აზრით არიან შეპყრობილნი, ერთის სურვილით არიან გამსჭვალულნი... მათ უნდათ ძველი ჰაიასტანის აღდგენა და ეს კი ისეთი ბუნებრივი სურვილია, რომ სხვა დაჩაგრული ერის მამულიშვილისათვის სამაგალითოც კი უნდა იყოს მათი ასეთი სიყვარული თავის სამშობლოისა ..

ვინ იცის, რა ბედნიერი ვიქნებოდით, მაგალითად, ჩვენ, ქართველები, სომხების ოდენა ზრუნვა და სიყვარული რომ გვქონოდა ჩვენის ქვეყნისა! მაშასადამე, ამ მხრივ ჩვენ ჩვენზე მაღლა ვაყენებთ სომხებს, ხოლო თუ ვამბოთ რამეს მათ შესახებ, ვამბობთ იმიტომ, რომ დღევანდელი „რადიკალიზმი და დემოკრატიზმი“ სომეხთა წარმომადგენლებისა, მხოლოდ ქართველებისა და ჩვენ მეზობელ მაჰმადიანების დასამცირებლადაა გადმოშლილი მათ მიერ.

დღეს ყველა, მთელ რუსეთში, და ნამეტნავად ჩვენში, დემოკრატობას იკვეხის და არადემოკრატიული ერობის მიღება ჩვენ მიერ, რასაკვირველია, „დამამცირებელია“ ჩვენი ერისა. ამას თვით ჩვენი მოსოციალისტე თანამოძმეებიც არა მალვენ, თუმცა ავიწყდებათ ხალხური ბრძნული თქმულება „სულ არარაობას ცხრა უღელი კატა სჯობიათ“.

ჰკვიანსა და დაკვირვებულ სომეხსავე უთქვამს: მე რომ გაქცეული კურდღელი მინახავს, ღმერთმა იმის ხორცი ნუ მაჭამოსო. —ჩვენც რომ ვიცნობთ რუსეთის მთავრობას, ღმერთმა ნუ დაგვაჯეროს, რომ რამე სიკეთე გაიმეტოს ჩვენთვის ისე ადვილად, როგორის სიადვილითაც დასრულდა საერობო თათბირი ჩვენში...

ღმერთმა ჰქნას, ვსცდებოდეთ, მაგრამ ისკი ღრმათა გვწამს,

ვინაიდგან ნათხოვარი და ნაჩუქარი ხანგრძლივად არა სძლებს ხოლმე. ტყვილად კი არ ამბობს ჩვენი ხალხი:

— ნათხოვარი მოგიხდება, ისევ მალე გაგეხდებაო!...

ამ გვარად, პირადად ჩვენ არც გვახარებს და არც მაინცდამაინც ძალიან გვაწუხებს საერობო თათბირზე გამოჩენილი ძალთა-განწყობილება, არ გვაწუხებს აგრეთვე არც რუსული პრესის განგაში ჩვენ წინააღმდეგ, გვაწუხებს მხოლოდ თვალთმაქცობა ამ პრესისა და ყოყლოჩინობა სომხების პლუტოკრატიისა

— ნეტა რა დროიდან შეიქნა იგი რადიკალ-პროგრესისტად?..

თქვენ სხვა რამე გვითხარით ახალი და ჭეშმარიტი, ქართველო „სოციალისტებო“,

---

## ერთი ქალაქის ისტორია
### (ამბავი)

ეს ამბავი ძალიან ძველის-ძველია და ვინც ფიქრობს აქ რაიმე ახალის გაგებას, ვურჩევ ეხლავე შესწყვიტოს კითხვა. მაინც სჯობია, კაცმა სიმართლე სთქვას: ცის ქვეშ ახალი არაფერი არ არის...

გამიგონია ძველებისაგან, რომ ის ქალაქი, რომელზედაც ვიწყებ საუბარს, ძალიან დიდი ხნის აშენებული ყოფილა. მის შესახებ ათასნაირი ლეგენდა-ზღაპარი არსებობს: ამბობენ, თვით ადამმა ააშენაო. მაგრამ, რადგან ადამის დროს არავინ არ სცხოვრობდა გარდა მისივე ოჯახობისა და, რადგანაც კაცობრიობის წინაპარი ძალიან მოკლე ჭკუისა ბრძანდებოდა (ცოლს რომ დაუჯერა და ლეღვი შეჭამა), ეს შეუძლებლათ უნდა მივიჩნიოთ .. ყოველ შემთხვევაში არ ვფიქრობ, რომ ბაბილონის გოდოლის დაქცევამდის დაეწყოთ ამ ქალაქის აშენება, რადგან მას მერე მოხდა ხალხის გაფანტვა სხვა და სხვა კუთხეში და იმ დროიდან ისწავლეს კირის, ჩაქუჩის და შესალესავი იარაღის ხმარება.

შესანიშნავი რამ იყო ეს ქალაქი? აქ ბუზივით ირეოდენ ისტორიკოსები, პოეტები და კორესპონდენტები. პირველთ ინტერესებდათ ქალაქის სიძველენი, მეორეებს იტაცებდათ სიმშვენიერე ქალაქისა, მესამენი კი ყოველთვის წააწყდებოდენ რაიმე ახალ ამბავს, რადგან არც ერთს ქალაქში იმდენი ამბავი არ ხდებოდა, რამდენიც აქა.

მთელი ამ ქალაქის მცხოვრებლები გაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფათ: ერთი ჯგუფი განუწყვეტელი ომი იმის შესახებ; თუ რომელი მათგანი სჯობდა... „თქვენ ქურდები ხართ, ავაზაკები, ყაჩაღები“ —ეუბნებოდენ ვარდისფერებს იისფერები. —„თქვენ ჯაშუშები ხართ, მკვლელები, სისხლის მწოველები“ —უპასუხებდენ ვარდისფერები ..

ვაჭრებიც, როგორც სხვა მცხოვრებნი, დაყოფილი იყვნენ ორ ბანაკათ. თქვენ თუ ვარდისფერ პარტიას ეკუთვნოდით იისფერ მაღაზიაში საქონელი ერთი სამად დაგიჯდებოდათ. ვარდისფერ მაღაზიაში კი ძალიან იოლათ გამოხვიდოდით

რესტორანში შესვლისათანავე, გკითხავდენ: ამხანაგო! რომელ პარტიას ეკუთვნით? თუ რესტორანის პატრონის პარტიას არ ეკუთვნოდით, უვარგისს, ძვლებით სავსე კერას მოგიტანდენ; და თუ ეკუთვნოდით, მაშინ თეფშს პირამდის გაავსებდენ, საუკეთესო ხორცს ამოარჩევდენ და ისე მოწიწებით მოგართმევდენ.

ორივე ჯგუფს ჰქონდათ თავ-თავიანთი გაზეთები. ამ გაზეთების დანიშნულება ის იყო, რომ ერთმანეთი გაელანძღათ და რამე ნაირად გულზე გაეხეთქათ. კვირაობით გაზეთებში სურათებიც იბეჭდებოდა ხოლმე. საინტერესო იყო ეს სურათები! მოწინაალმდეგეებს ხატავდენ ხან შიშველს და ხან თავ-და-ყირა დაკიდებულს. მოწინავე წერილებში ხშირად იმის შესახებ იყო ლაპარაკი, თუ მოწინააღმდეგეს ვისთან აქვს მეგობრობა, რასა სჭამს სადილათ და ან როგორი განწყობილება აქვს ცოლთან

გენიოსებიც სულ სხვა და სხვა ჯურისანი იყვნენ ამ ქალაქში. მაგალითად, ვარდისფერ პარტიაში ვინც გენიოსათ იყო გენიოსს ვარდისფერები „დიდყურათ“ ნათლავდენ

— ღრმა აზრია ამ და ამ მწერლის ნაწარმოებში... იმის წიგნი სახარებისავით თაყვანსაცემია —ამბობდა თავიანთ მწერალზე, მაგალითად, ერთი ჯგუფის კრიტიკოსი.

— აზრის ჩანასახიც არ არის შიგა მარტოკა სიმყრალე დ სიბილწეა! მოქალაქენო! სახლში არ შეიტანოთ იგი წიგნი, თუ არ გინდათ წაბილწოთ ოჯახი, თუ არ გინდათ სიმყრალის წუმპეში ამოისვაროთ. —ამბობდა ამავე წიგნზე მეორე კრიტიკოსი.

არავის არ ახსოვს, რომ დედ-მამას თავიანთი ასული რომელიმე სხვა პარტიის კაცისათვის მიეთხოვებინოსთ. თუ კი ასეთი შემთხვევა შეცდომით მოხდებოდა, ის უსათუოდ მალე უნდა გამორკვეულიყო.

— მართლა, ყველაზე უსაჭიროესი დაგვავიწყდა, შენ რომელ პარტიას ეკუთვნი, ჩემო სულიკო?—ეტყოდა ხოლმე ახლად ჯვარ-დაწერილი ქმარი ცოლს.

— იისფერს, გენაცვალე! შენა?

— რას ამბობ? ვაიმე, რა გავიგონე! ვაი, დალუპულო ჩემო თავო, ბედი არა გქონია. მე ხომ ვარდისფერი ვარ! —და ახალგაზდა კაცი სასოწარკვეთილებით თმაში ხელებს იტაცებდა.

— რა ვქნათ მერე ეხლა?

— ჰმ, რა ვიცი! ლამის თავი გამისკდეს. ღმერთო ჩემო, ღმერთო!

— ნუ სწუხარ! გავიყაროთ...

— მეტი გზა არ არის! გავიყაროთ!

დასიტყვებოდენ ცოლ-ქმარნი და მიდიოდენ სასამართლოებში საქმის გამოსარკვევათ.

ტიის კაცი ვერ გაიჭაჭანებდა. მაგალითად, მიდიოდა იისფერი ვარდისფერების დაწესებულებაში.

— გავიგე ადგილი გქონიათ, მე მინდა ვიმსახურო მაგ ადგილზე!

— იმსახუროთ? თქვენ ხომ კათოლიკე ბრძანდებით, ჩვენ კი ადგილს მხოლოდ მართლმორწმუნეებს ვაძლევთ.

— სწორედ საკვირველია! რას დამიშლის მე იისფერობა თუ პატიოსნათ ვიმსახურებ და ჩემს საქმეს გავაკეთებ...

— პატიოსნათ! პატიოსნათ! განა იისფერს პატიოსნათ სამსახური შეუძლია? ჰა, ჰა, ჰა —გადიხარხარებდენ ვარდისფერები დაერთ ამხანაგთაგანს თვალს უზამდენ. ამხანაგი წამოდგებოდა, მიიყვანდა ადგილის მთხოვნელს კარებთან „ერთი, ორი, სამი“ დაიძახებდა ის, ამოსცხებდა პანღურს და გარეთ გააგდებდა.

ამ დროს დარბაზში თავშეუკავებელი ხარხარი ასტყდებოდა ხოლმე.

— მე ღარიბი კაცი ვარ, მინდა მივიღო განათლება, რომ ჩვენ ქალაქს გამოვადგე და ღირსეული კაცი შევიქნე. გთხოვთ, სტიპენდია დამინიშნოთ! —მიმართავდა ხოლმე თხოვნით ვარდისფერი ჩასუქებულ იისფერ მოქალაქეს, რომელიც დინჯათ უჯდა მაგიდას და მთხოვნელს ათვალიერებდა.

— თქვენი სახელი და გვარი?

— გერმანე ფოლაქაძე...

— იოსებ! ჰა, იოსებ! ნახე მანდა: გერმანე ფოლაქაძე—გასძახებდა იისფერი მეორე ოთახისკენ.

— ამ საათში, ბატონო! ფოლაქაძე ფო—ლა—ქა—ძე —მოისმოდა ნაწყვეტ—ნაწყვეტათ მეორე ოთახიდან.

ტესტზე ხელი უწერია და 21 ივნისს ქუჩაში ერთს ჩვენ პარტიის კაცს დაჯახებია და ბოდიში არ მოუხდია! მოისმოდა იოსების ხმა.

— აჰ, ეს რა ამბავია! მერე თქვენ კიდევ მობედეთ აქ სტიპენდიისთვის მოსვლა? გრცხვენოდესთ! —წამოიჭრებოდა იისფერი და ოთახში ბრაზმორეული გარბოდ-გამორბოდა.

— დაჯახებია, ბოდიში არ მოუხდია! ჰმ, ამაზე მეტი უზრდელობა იქნება?

— არ ვიცი ეს ვისთან შემემთხვა. მიბრძანეთ და თუ გნებავთ ეხლავე ბოდიშს მოვიხდი.

— პროტესტზე რომ ხელი მოგიწერიათ?..

— მოვაწერე, რადგან გულით მინდოდა აყალ-მაყალის მოსპობა.

— უნდოდა აყალ-მაყალის მოსპობა!... იოსებ! ჰა, იოსებ! ერთი შენებურათ მიაცილე ეს ყმაწვილი კარებამდის—უბრძანებდა იისფერი ჩასუქებულ კაცს, რომელიც მისს ძახილზე საჩქაროთ გაჩნდებოდა ხოლმე. ჩასუქებული მთხოვნელს კიბემდის მიიყვანდა, მერე კი ჰკრავდა ხელს და საწყალი ვარდისფერი რახრახით ჩაკოტრიალდებოდა გძელ კიბეზე.

იგინებოდა ვარდისფერი და მუშტებს კუმშავდა. ფანჯრებთან მიმდგარი იისფერი და ჩასასუქებული კაცი კი სალოკი თითით აღიზიანებდენ და ენას უყოფდენ ხოლმე..

ხშირად ასეთი ამბებიც ხდებოდა:

მოდიოდა ორი თორმეტ-ცამეტი წლის ბავში; გიმნაზიის მოწაფეები: ერთი ვარდისფერი და მეორე კი იისფერი. გააბამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო „რ ა დ ი უ მ“ თეატრი

ანონსი: 19 მაისიდან ნაჩვენები იქნება დიდი საუცხოვო სურათი, რომელმაც განცვიფ-
რებაში მოიყვანა რომისა, პარიზისა, ლონდონისა, პეტროგრადისა და მოსკოვის საზო-
გადოებანი. დასურათხატებული კინო დრამა 5 ნაწილად პროლოგით. სურათს დასდგამს
ემილიო ჰიონსი, ფირმა ტიბერ ფილმისა ტურინში

# სიკვდილის მეუღლე

უმთავრესს როლში გამოდის ცნობილი მსახიობი ქალი, მთელ დედამიწის ზურგზე სი-
ლამაზით განთქმული, „ბრილიანტების მეფეთ“ წოდებული, ლინა კავალიერი.

მოქმედება სწარმოებს ჩვენს დროში რომსა და პარიზში და სურათის არაჩვეულებრივი
სიმშვენიერე მაყურებლებზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს.
ამ დიდ სურათის დადგმის ნება აქვს კავკასიასა და მის გარეთ მხოლოდ
აქციონ. ამხანაგობა „ფილმას“ ქ. ბაქო.

ყურადღება!!! ეს ისეთი საყურადღებო და ფსიხოლოგიური სურათია, რომ რეჟისორებმა და მსახიობებმა დიდი სახელი მოიხვეჭეს. ლინა კავალიერი ეს მეტად მდიდარი ქალია და რომში ბევრ ადგილას აქვს ვილები. მისი სამი მარგალიტის მაფი შეფასებულია ორ მილიონ მანეთად და მეორე გულსაკიდი 250000 მანეთად. მისი ძვირფასი ტანსაცმელები, პაკენა მოდელის ფირმისა. ბოლოს გამოვა ლინა კავალიერის აწინდელი მეუღლე ფრანგულ დიდ ოპერის მსახიობი ლუჩიანო მურატორი.

...თორემ სომხის პლუტოკრატიას თქვენი ...გამოქომაგება არა სჭირია. ჩვენ დიდი-...ანია ვიცნობთ მათ. და ვერც გათეთრ-...ება ყორანი, რაც უნდა ხეხოთ ქვი-...შითა...

ზევითაც მოგახსენეთ და ახლაც ვიმე-...ორებ, დემოკრატიზმისა და ხალხოსნურ ...იდეებში სომხები ვერას გვასწავლიან, მაგ-...რამ მამულიშვილობაში კი რომ გვჯობიან, ...მას ჩიჩინი და ლაპარაკი აღარ უნდა.

სულ ასი წელიწადია, რაც ქართვე-...ლები ჩვენ თავს აღარ ვეკუთნვით, ორ-...მოცი თუ სამოცი წელიწადია, რაც საე-...კლესიო მამულები დავკარგეთ და აბა მა-...ჩვენეთ ათი ქართველი, რომელიც ისე ...თავგამოდებით ჰფიქრობდეს თავის ქვეყა-...ნაზე, როგორც ჰფიქრობს მთელი სომხის ...ერი.

აი რა უნდა ესაყვედურებინათ ჩვენთვის,—...ნაციონალისტებისათვის,—ჩვენ ინტერ-...ნაციონალურ—და სოციალისტურ თანა-...მოძმეებს, თორემ საყვედური კუდმოკვე-...ცილ ერობის მოთხოვნისათვის მაინც და ...მაინც დიდი კოზირი არ არის მათ ...ხელში.

ჩვენ, ქართველები, ძველის ძველი ...ქრისტიანე ხალხი ვართ, მთელ აზიას გა-...ვუმკლავდით ამ მოძღვრების მეოხებით, ...მისივე მეოხებით ევროპას კარი გავუღეთ ...ამავე აზიისა, ჯერ ისევ მეხუთე საუკუ-...ნეში ავტოკეფალური იყო ჩვენი ეკლესია ...და დღეს კი იმდენად დავძაბუნდით, რომ ...ჩვენი მღვდლები თუ მღვდელმთავრები ...ვერც კი ბედავენ ჩვენი ეკლესიის თავი-...სუფლებაზე ხმის ამოღებას და სომხის ...არქიელებიც კი

ეს ეკითხოს თვით ყოვლად სამღვდელო მესროპს, ეკითხოს ქართველის დოვლათით გამდიდრებულ თბილისის სომხობას, ჩვენ კი ქედს ვიხრით სომხის ერის თავის თავისათვის მზრუნველობის წინაშე და მაგალითად ვუსახავთ ეპისკოპოსს მესროპის თავდადებას თავის ერისათვის ჩვენს დიდსა თუ მცირე სამღვდელოებას...

კარგს ინებებენ ჩვენი არანაციონალისტი კალმოსნებ—მოღვაწეებიც, რომ უფრო ღრმად ჩაუკვირდენ სომხების მოქმედებას ჩვენში და ცოტა უფრო ფხიზლად იყვნენ, თორემ მათი მაღლა ყვირილი და უადგილო საყვედური ქართველი კაცის ტყავს ვერ დაიფარავს..

## ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

დღეს, 17 მაისს, საღამოს 7 საათზე, აქიმ გრ. ალშიბაიას ბინაზე (თბილისის ქუჩა ზაქ. მაჭავარიანის სახ). დანიშნულია მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების სასარგებლოდ სეირნობის მომწყობი კომისიის კრება. გამგეობა სთხოვს ქუთ. ყველა სასწავლებლის წარმომადგენელთ დაესწრონ ამ კრებას.

✦ ექ. ა. მ. ასათიანი გაწვეულია სამხედრო სამსახურის გამო ესენტუკში. ბ. ასათიანმა ავადმყოფთა მიღება 1 აგვისტომდე შესწყვიტა.

✦ 14 მაისს დილით ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში ზვავი ჩამოწვა და ქვეშ მოჰყვა ექვსი მუშა. ერთი მათგანი გარდაიცვალა, დანარჩენი ხუთი მძიმეთ დაჭრილები არიან. დაწვრილებითი მიზეზები ჯერ გამოურკვეველია.

✦ ყოველ წლივ წყალ წითელაზე ახალ ახალი უბედურება ხდება ხოლმე. 14 მაისს ბანაობის დროს დაიხრჩო 14 წლის მოწაფე პ. ჰოხონელიძე. საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და ან სრულიად აიკრძალოს აქ ბანაობა, ან დაინიშნონ მოცურავე პირები, რომ უბედურ შემთხვევებისაგან გადაარჩინონ მობანოეები.

✦ ოთხშაბათს, 18 მაისს, ელექტროთეატრ რადიუმში ქ-ნი კატო მიქელაძე წაიკითხავს საყურადღებო ლექციას „რუს თაველი და სიმვოლისტები“. იმედია, საზოგადოება ბლომად დაესწრება.

✦ კვირას, 15 მაისს, ქალაქის სასეირნო ბაღში ქ. შ.-წ. კ. გ. საზ. ქუთ. გან. სასარგებლოთ გაიმართა დიდი სახალხო სეირნობა, ლოტარეია-ალეგრით. ამინდი კარგი იყო, ბაღი გაჭედილი იყო ხალხით. მხოლოდ ვიღაც ბოროტ გამზრახველმა ერთ-ერთ შესავალ კართან კასა გაიტაცა. კასაში დაახლოებით იქნებოდა 210 მან. ბოროტ გამზრახველი დააპატიმრეს მაგრამ მან ფულის გადაცემა უკვე მოასწრო თავის ამხანაგზე. ფულის აღმოსაჩენათ მიღებულია სათანადო ზომები.

✦ ადგილობრივი რეალური სასწავლებლის ყველა კლასის მოწაფეებს საზაფხულოთ 23 მაისს დაითხოვენ. მოწაფეთა შემდეგ კლასებში გადაყვანა მოხდება წლიური ნიშნების მიხედვით.

✦ კლასიკური გიმნაზიის კურს დასრულებულთა სიაში გამოგვრჩა შალვა სანებლიძე, რომელმაც სხვებთან ერთად წელს დაასრულა კლასიკური გიმნაზია.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა გრაფმა გუდოვიჩმა დეპეშით აცნობა კავკასის მეფის ნაცვალს, რომ 15 მაისს ქუთაისში გაიხსნა ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებები სხვადასხვა თანამდებობის პირთა ასარჩევათ.

✦ ქ. შ. წ. კ. გ. საზ. ხიდისთავის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს გახსნანუფასო წიგნსაცავსამკითხველო ს. ნაბელლავში (ოზურგეთის მაზრა) ადგილობრივ მცხოვრების ილარიონ სიმონის ძის ჯინჭარაძის პასუხისმგებლობით და ს. გორა-ბერეჟოულში (იმავე მაზრაში) ადგილობრივ მღვდ. პოლიკარპე ნაჭყებიას პასუხისმგებლობით.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. ქუთ. განყოფილების აგენტს, გრიგოლ ცეცხლაძეს ნება დართო წიგნების გავრცელებისა ქუთაისის გუბერნიაში.

✦ ქ-ნმა დუგ. ქორქოლაძის ასულმა შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს გახსნას დ. ლაილაშში (ლეჩხუმის მაზრა) ჭრა-კერვის სკოლა.

✦ რაჭის მაზრის უფროსი სთხოვს ქუთაისის გუბერნატორს, დააჩქარონ სამხედრო ოსეთის დაქცეული გზის შეკეთება, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვედა რაჭაში სანოვაგის შემოტანა თერგის ოლქიდან არ შეიძლებაო.

✦ ქ. ოზურგეთის თვითმართველობამ წარუდგინა გუბერნატორს ის ზომები, რომელიც შეიმუშავა მოქალაქეთა გონივრული გართობის შესახებ.

ამასთან ქალაქის გამგეობა სთხოვს ბ. გუბერნატორს, რომ ივნისში ქალაქს დასჭირდება ერთი ვაგონი ფხვნილი შაქარი, რომელიც სასურველია მოვიდეს კავკასიის სანოვაგის მომწყობ კომიტეტის რწმუნებულის ხელით რკინის გზის სად. ნატანებში, ოზურგეთის მომხმარებელი საზოგადოების „ეკონომიის“ სახელზეო.

✦ სოხუმის ქალაქის საბჭომ 8 მაისის სხდომაზე დაადგინა შემდეგი ნიხრი:

მსხვილი საქონლის ხორცი, განურჩევლად ხარისხისა, უნდა გაიყიდოს ექვს შაურად გირვანქა. ცხვრის—შვიდ შაურად ხბოსი—თერთმეტ შაურად, ღორის ექვს შაურად. კამეჩის ხორცის გაყიდვა ზაფხულობით სრულიად აკრძალულია. პურის ნიხრი: პირველი ხარისხის—გირვანქა 7 კაპ. მეორე—6 კ. მესამე—ერთ შაურათ. ამავე ქალ. გამ. წარუდგინა გუბერნატორს სია იმ საქმეებისა, რომელიც უნდა გირჩეს 16 მაისს ქალ. საბჭოში.

✦ გუშინწინ ვიღაც ბოროტმოქმედმა სასიკვდილოთ დასჭრა სასტუმრო „ლონდონის“ მოიჯარადრე გრიგოლ დავითისძე ჩოჩუა, რომელიც გუშინ უკვე გარდაიცვალა.

✦ ადგილობრივ ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის მართველმა ქ-ნმა ვარდოსანიძემ სთხოვა ქალაქის გამგეობას ყურადღება მიაქციოს იმ სიბინძურეს, რომელიც არის ამავე სასწავლებლის წინ მდებარე სავაჭრო მოედანზე.

✦ მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობამ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ბანკის თავჯდომარესა და გამგეობის წევრებს თბილისში სამგზავროთ დღიურათ ეძლევათ 15 მ. ხოლო სხვა დაბა ქალაქებში კი 10 მ. ❀ მატარებლის პირველი კლასის ბილეთი.

✦ **ზუგდიდი თავად-აზნაურთა კრებაზე.** გუშინ, 16 მაისს, თავად-აზნაურთა კრებაზე წევრთა და თავმჯდომარის შორის გამოწვეული უთანხმოების გამო, მოხდა შფოთი, რის გამოც კრება 17 მაისისთვის გადაიდვა. დაწვრილებით ხვალ.

## კ რ ე ბ ე ბ ი

### ქუთ გუბ. თავად-აზნაურთა.

კვირას, 15 მაისს, სათავ. აზნ. ბანკის დარბაზში შესდგა ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება.

ქუთ. გუბერნატორმა **გრაფმა გუდოვიჩმა** დილის $10^{1}/_{2}$ ნახევ. საათზე კრება გახსნა და მოუწოდა თავად-აზნაურთ ფიცი მიეღოთ. გუბერნიის მარშალმა თ-დ **დ. ო ნიჟარაძემ** სიტყვით მიმართა გრაფს და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა მისდამი რწმუნებულ ქუთაისის გუბერნიაში. ამის შემდეგ ადგილობრივ საკათედრო ტაძარში ყ დ სამღვდელომ, იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ, ფიცი მიაღებია თავად-აზნაურობას. ფიცის მიღების შემდეგ, ნაშუადღევის 1 საათზე, თ-დ დ. ო. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით, კრება გაიხსნა.

თავჯდომარემ მოახსენა კრებას: მე, როგორც თქვენ წარმომადგენელს, ხელმწიფე იმპერატორმა დამავალა გადმოგცეთ თქვენ ხელმწიფის მადლობა იმ თანაგრძნობისა და კეთილი სურვილებისათვის, რომელიც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ გამოუცხადა მეფეს თბილისში მობრძანების დროს. კრება ბ. დ ო. ნიჟარაძის მოხსენებას „ურას“ ძახილით შეხვდა.

ბ. ნიჟარაძე განაგრძობს: ბ. ბ. მეფის ნაცვალმა ქუთაისში მობრძანებისას კეთილ ინება და ინახულა მხოლოდ თქვენი ქართული გიმნაზია, ამიტომ მარშლებისა და დეპუტატების თათბირზე დაადგინეს ავგონ ბიუსტი მათი იმპერატორობითი უმაღლესობისა იმ ოთახში, სადაც მან ინება მობრძანება და თუ თქვენც ამ გადაწყვეტილებას დაადასტურებთ, მაშინ საჭიროა ამოირჩიოთ თქვენი წარმომადგენელნი, რომ ნებართვა გამოითხოვონ ამის შესახებ.

ასახელებენ ყველა მაზრისა და გუბერნიის მარშლებს.

თავჯდომარე: მე მგონია, საკმარისი იქნება ამოვირჩიოთ გუბერნიის მარშლად ნამყოფი ბ. წერეთელი და ახლად ამორჩეული საგუბერნიო მარშალი. კრება თავჯდომარის წინადადებას ეთანხმება.

ამის შემდეგ თავჯდომარემ წაიკითხა მეფის ნაცვლის სახელზე გასაგზავნი მისალოცი დეპეში, რომელიც კრებამ ერთხმათ მიიღო.

**პ. წულუკიძე** ბ-ბო, კარგათ მოგეხსენებათ, თუ რა მდგომარეობას განიცდის ჩვენი გუბერნიის მცხოვრებნი უსიმინდობით, ამიტომ საჭიროა თავად-აზნაურობამ იშუამდგომლოს მეფის ნაცვლის წინაშე, რაც შეიძლება მალე, დააჩქარონ მისი მოტანაო.

ეს საკითხი დღიურ წესრიგში შეიტანეს.

თავმჯდომარემ კრება მეორე დღისთვის გადასდვა და მოუწოდა დამსწრეთ მობრძანდენ ქართულ გიმნაზიაში დილის 10 საათისთვის.

II

### ქუთ. გუბ. სამეურნეო საზოგადოებისა.

კვირას, 15 მაისს, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში ბ ნ ქუთათელაძის თავმჯდომარეობით შესდგა სამეურნეო საზ. კრება. აგრონომმა კ. ბერეკაშვილმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა და აღნიშნა ქუთაისის გუბერნიაში მებოსტნეობისა და მეხილეობის განვითარება—გავრცელების საჭიროება. შემდეგ თავჯდომარემ მოიყვანა სტატისტიკური ცნობები, თუ რამდენი ხილი იზიდება ჩვენი ქვეყნიდან რუსეთსა და სხვაგან და აღიარა მეურნეობის ამ დარგის განვითარების აუცილებლობა.

პ. წულიკიძე. მოითხოვს ამ დარგში სპეციალისტისა და ინსტრუქტორების მოწვევას, მაგრამ, რადგანაც ასით გამოცდილსა და სასურველ პირებს ჩვენში ვერ ვიშოვით, საჭიროა მოვიწვიოთ საფრანგეთიდან, ან ბელგიიდანაო.

მღ. ჩვ. ლეჟავეიშვილი: ბ-ბო, ჩვენს ქვეყანაში უცხო ხალხი მდიდრდება და ჩვენ კი ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს ვერ ვიხმართ. მაგალითად, ვიღაც უცხოელებს რიონის პირზე, ქუთაისის მახლობლათ, აქვთ გაკეთებული ბოსტანი. როდესაც მე ეს ბოსტანი დავათვალიერე, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: ოხრახუშის სამი ძირი იწონის ერთ ფუთს, არის საუკეთესო პრასა და სხვადასხვა მწვანილეულობა და ხილი. ეს პირები ცდილობენ სწორეთ ისეთ დროს მოიყვანონ ბოსტნეულობა და ხილი, როდესაც ძვირად ფასობს. ნაადრევ ხილს ყოველთვის კარგი ფასი აქვს, ამიტომ მე ვეთანხმები მომხსენებელს და საჭიროთ ვსცნობ ამ დარგს ყურადღება მიექცეს ჩვენს გუბერნიაში.

ს. ხუნდაძე: საჭიროა ინსტრუქტორები ჩვენ ყოველ მაზრაში გვყავდეს და ამასთანავე საჭიროა შეიცვალოს არსებულ სამეურნეო სკოლების პროგრამა, რადგანაც ისინი პრაქტიკულათ ვერას აკეთებენ ჩვენს ქვეყანაში.

პ. ყიფიანი. ეთანხმება ბ. სილ. ხუნდაძეს, რომ ყველა მაზრაში საჭიროა ვიყოლიოთ ინსტრუქტორები და სპეციალისტები, მაგრამ ამას არ მოგვცემენ, ვი... ჩვენი მოქმედების ნაყოფს არ ვაჩვენ... და უნარს არ დავანახვებთ. მე მგონ... ჯერჯერობით საკმაო იქნება მოვიწვ... ორი სპეციალისტი და 2 ინსტრუქტორი.

კრებამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: 1) მოიწვიოს ერთი სპეციალისტი და ერთი ინსტრუქტორი. 2) ეთხოვოს მიხეილის სათავადაზნაურო ბანკს 3500

---

— არა, ჩემო მეგობარო, მე ვამტკიცებ, რომ ნიკოლაი პეტროვიჩი საუცხოვო მასწავლებელია და მთელს გიმნაზიაში, დამიჯერე, ტოლი არა ჰყავს...

— რას ამბობ? ჭკუაზე ხომ არ შესცდი... შენ მარტო იმიტომ აქებ, რომ ის ვარდისფერ პარტიას ეკუთვნის. აბა სად მიუდგება ნიკოლაი პეტროვიჩი ვარდენ ივანიჩს! იმიტომ კი არ ვაქებ, რომ ჩემს პარტიას ეკუთვნის, არა! მშვენიერი ლაპარაკი იცის და ახსნაც საუცხოვოთ ეხერხება...

— ხა, ხა, ხა! ვარდენ ივანიჩი, რომელსაც ცოლი ყოველ-დღე სცემს, კარგი მასწავლებელიაო! ვარდენ ივანიჩი!.. ხა, ხა, ხა!

— რას იჰაჰები! ვითომ თქვენი ნიკოლაი პეტროვიჩი რა ხეირიანი ვინმე ბრძანდება, აფრას მიუგავს ცხვირი. ვაჲ თქვენს ჭკუას.

— ვაჲ, თქვენ ჭკუას, თუ კარგია...

და შეიქნებოდა ერთი მუშტი-კრივი, ერთმანეთის თავში წიგნების თხლეშა.

ვარდისფერი და იისფერი ამხანაგები ანებებდენ თავს გიმნაზიაში წასვლას და შინ დაკაწრულ-დაფლეთილი ბრუნდებოდენ.

— რა დაგმართია, შვილო?—ეტყოდა გაკვირვებული მამა.

— აი რა, მამილო! მე და ერთ მოწაფეს ჩხუბი მოგვივიდა... ჩვენ სხვა და სხვა პარტიას ვეკუთვნით. ნამეტანი თავი აიგდო: ჩვენი პარტიის მასწავლებელი გალანძღა!

— ხომ კარგათ მოსცხე, შვილო!

— თავ-პირში სულ ბოლი ავადინე...

— ყოჩაღ! ყოჩაღ! ნამდვილი გმირი მამიკო... ნატამ! ნატამ!—გასძახებდა ცოლს გახარებული მამა—უყურე რა ოინი დაუწევია ჩვენს ბიჭიკოს...

— აი, მაგას დაენაცვლოს დედა მისი! ნამდვილი გმირია... ახლავე საჭმელს მოგიტან, შვილო! დაღალული იქნები...—და შვილის მოყვარული დედა ფუსფუსით გაექანებოდა საჭმლის მოსატანათ.

ყველა აქ ჩამოთვლილთა მსგავსმა შემთხვევებმა საკვირველი ნაყოფი მოიტანა; გამოიცვალა ბუნება ადამიანისა: მაგალითად, ვარდისფერის თვალი მარტო იმას ხედავდა კარგათ, რაც ვარდისფერი იყო და მარტო ის ესმოდა კარგათ, რასაც ვარდისფერი იტყოდა; ასევე დაემართა იისფერებსაც.

გაცხარდა მუშაობა ლაბორატორიებში. ფიზიოლოგები და ექიმები ოფლსა ღვრიდენ გამოკვლევაზე, მაგრამ მაინც ვერ აღმოაჩინეს მიზეზი იმისა, თუ რამ გადაასხვაფერა ასე მოქალაქეთა თვალები და ყურები.. მხოლოდ სახეზე მეცნიერებს უშველებელი გაკვირვების ნიშანი ეხატებოდათ და გაშტერებული მხრებს მაღლა იწევდენ.

ბოლოს ყველამ უნუგეშოთ ხელები ჩაიქნია და ამ საკითხზე მუშაობაც შეწყდა მეცნიერებმაც სხვა მოქალაქეებსავით დაიწყეს დროს ტარება...

ქალაქში იყო სხვა და სხვა გასართობი მაგრამ ხალხს ყველაზედ უფრო ჭიდაობა აინტერესებდა. ეს ჭიდაობა იმართებოდა ქალაქის დიდ ბაღში. ფალავნებათ გამოდიოდენ წარმომადგენელნი ვარდისფერ და იისფერ პარტიათა; უამრავი ხალხი შეგროვდებოდა ხოლმე და სულგანაბული შესცქეროდა ჭიდაობას; სერთუკებში გამოწყობილი ფალავნებიც ათას ნაირ ხერხს ხმარობდენ, რომ ხალხის გემოვნება დაეკმაყოფილებინათ... ხშირად ვარდისფერი წამოუწვებოდა ხოლმე და იისფერს ცხვირით მიწას ახვევინებდა. ისიც მოხდებოდა, რომ იისფერი გამოჰკრავდა სარმას და ვარდისფერს მიწაზე გათხლაშავდა; მაშინ მოწინააღმდეგეს მუხლებით დააწვებოდა და მის მკერდს ჰაჰი-ჰუჰს დააწყებინებდა. ბრბო ორივე შემთხვევაში ქშენას უმატებდა, კბილებს აკრაჭუნებდა, ყვიროდა და ხელებს იქნევდა.

### ეპილოგი

ერთს მშვენიერ დღეს ქალაქს მტერი მოადგა არავის არ შეუტყვია ეს ამბავი და მთელი ქალაქი ისე მშვიდობიანათ დაიპყრეს, რომ ერთი თოფიც არ გავარდნილა. ჯარის უფროსს უკვირდა: ნუ თუ აქ არავინ ცხოვრობს, რომ ასეთი მკვდარი სიჩუმეაო; და ვერ წარმოიდგენთ მის განცვიფრებას, ქალაქის ბაღში შეგროვილი ხალხი რომ დაინახა.

— რა ამბავია?—გაკვირვებით ჰკითხულობდა ის და ჯარს უბრძანა: თოფები მოიმარჯვეთო.

შეგროვილ ხალხიდან გამოვიდა ერთი და აუხსნა რაშიც იყო საქმე.

— ხა, ხა, ხა!—გადიხარხარა ჯარის უფროსმა—გაირთვეთ თავი, გაირთვეთ. მაგრამ აი რა, ნამეტან თავდავიწყებას არ მიეცეთ, თორემ იცოდეთ ამას მიიღებს ვარდისფერი პარტია და ამით კი იისფერს დავასაჩუქრებ...

ამ სიტყვებით მან ჯერ მარჯვენა მუშტი მოკუმშა და მერე მარცხენა.

აბ იძე

მანეთის დახმარება; 3) ეთხოვოს სამიწად-მოქმედო. დეპარტამენტს შემწეობა და დაევალოს საბჭოს შეიმუშაოს ახალი ტიპის სამეურნეო სკოლების პროგრამა.

დასასრულ მოხდა არჩევანი საბჭოს წევრებთა, ძველ წევრებს გარდა, ამოირჩიეს: პლატონ წულუკიძე, ზაქარია მაჭავარიანი, იაკობ ფანცხავა, ნოე მხეიძე, ვასილ წერეთელი, ვ. გეორგობიანი და იოსებ კაკაბაძე. სარევიზიო კომისიის წევრებათ კი ალ. ჩხეიძე, ევ. ქუთათელაძე და ვ. ასათიანი.

# რუსეთი.

იუსტიციის სამინისტროს შეკითხვა შეაქვს მინისტრთა საბჭოში სურსათ-სანოვაგის საქმის სოსაწესრიგებლად.

— —

რუსის რუმინელი ელჩი ფურსკი პეტროგრადს დაიბარეს. ელჩის დაბარებას დიპლომატიურ წრეებში დიდმნიშვნელობას აძლევენ.

— —

ბურცევისთვის საზღვარ-გარეთ წასვლის ნება არ დაურთავთ

— —

ამ დღეებში უნდა მოხდეს მიწადმოქმედების სამინისტროს თათბირი. თათბირმა უნდა გამოიკვლიოს რუსეთში დაუთესავი ადგილების რაოდეიობა სახელმწიფო სათათბიროს მომავალ სესიას რუსეთის მემარჯვენეები საჭიროდ არა სთვლიან. ისინი მოითხოვენ „ცოცხალ მუშაობას", რაიც გამოიხატება ბრძოლის ველზე მოქმედებით.

— —

არხანგელისა და ციმბირის გუბერნიებში 50 ათასი დესეტინა მიწა დარჩენილა დაუთესავი.

— —

მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს შტიურმერს განუზრახავს ამ მოკლე ხანში მოიწვიოს გუბერნატორების მეორე თათბირი.

— —

რუსეთის პარლამენტარიების გამგზავრებას ინგლისისკენ რუსეთის მემარცხენე პრესა გულცივად შეხვდა.

## ჭიათურის 84 დასელ მუშას.

ნათქვამია: ბუის ბუ იქნება და ბუკნა ჭოტისა—ბუკნა ჭოტიო. დასამტკიცებლად ამ თქმულებისა სიამოვნებით ვათავსებთ **ჩვენს** გაზეთშიაც **თქვენს** გაზეთში დაბეჭდილ — პროტესტს ჩვენდამი (იხ. „თან. აზრი" № 108). და, იცოდეს შთამომავლობამ, როგორ აზმობს და სწამლავს ჭიათურის შავი და ბნელი მაღარო მაშვრალთა გრძნობა-გონებას.

„ფარდა მაღაროებს! სირცხვილი ბინძურ მზეს, რომ ვერ ათბობს იგი ერთხელვე დათრგუნულ გულს ადამიანებისას!"

ასე იტყვიან ჩვენი ფუტურისტები თქვენი წერილის წაკითხვაზე, ხოლო ჩვენ კი ახლავე ვამბობთ: თქვენი ცოდვა ედოთ კისერზე იმათ, ვინც აჭყარებიან თქვენ ნესტიან მაღაროებს და თქვენამდე არ უშვებენ ბრწყინვალე მზეს სამართლიანობისასა და ადამიანობისას.

სახელი და დიდება მათ, ხოლო უკვდავება თქვენს უსულგულო სიტყვათა შემდეგს მადრევანობას:

„**ჭიათურა.** ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერნი, დასელი მუშები, სიამოვნებით აღვნიშნავთ რა ფაქტს, რომ ჩვენი გაზეთი „თანამ. ზრი", როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც, ი. ევდოშვილის კითხვაში ჩვეულებრივი სისწორით გამოსთქვამს ჩვენი გულის ნადებს, პროტესტს ვუცხადებთ ნეციონალისტურ გაზეთის „სახალხო"— „სამშობლოს" მათი უშნო საქციელის გამო. ისინი ცდილობენ ჩვენსა და ჩვენი გაზეთის შორის, რაღაც საზღვარი გაავლონ და ჩვენ ერთმანეთს დაგვაპირდაპიროს. მარა ამათთ. ბ. ია ეკალაძეს კი ვურჩევთ, რომ, თუ გული შესტკივა, ევდოშვილის ძველი ლექსები ქუთათურ მოწაფეების ერთ ჯგუფში გაავრცელოს ბოლოკების მაგიერ *) ჩვენ კი, ამ ლექსებზე ილიას სისხლით მოვაჭრე პირების მიერ მითითება არ გვჭირია; ჩვენ ამ ლექსებს არ ვურევთ მათი ავტორის მერმინდელ წუმპეში."

ხელს აწერს 84 **მუშა.** *)

*) დედანი რედაქციაში ინახება.

„თან. აზ."

რაკი დედანიც თურმე „თანამედროვე აზრის" რედაქციაში ინახება, ჩვენ მადლობის მეტი რაღა გვეთქმის, მაგრამ უფრო მადლობელი ვიქნებოდით რომ ჩვენთვისაც გამოეხვენათ პირი ამ 84 მუშის სიისა, რომ შთამომავ

*) რედაქცია ერთხელ კიდევ საჯაროთ აცხადებს, რომ ბ. ია ეკალაძეს „ბოლოკისტებში" არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და გვიკვირს, რადა ჰკადრულობს ჭიათურელი 84 მუშა ასეთ სიყალბეს?!

რედ. „სამშ".

ღობას არ დაჰკარგოდა სახელი და გვარი ძვირფასს და ერთგულ საყვირების მთელის ჯარისა.

თქვენგან გმობილი „სამშობლო".

(გაზეთი, რასაკვირველია!).

## სახალხო მასწავლებელთა ცხოვრებიდან.*)

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან ამ უსაშინელეს ომიანობის დროს სახალხო მასწავლებლები; ამაზე არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული სხვადასხვა გაზეთის ფურცლებზე.

ბევრჯერ ამოგვიკითხნია გაზეთების ახალი ამბავიდან მასწავლებელთა ჯამაგირის მომატებისა და დღიურის შესახებ, მაგრამ ყველა ეს ოცნებად რჩება და მასწავლებლები კი ისევ ჩვეულებრივ სწვალ 28 მანეთსა და 1 აბაზს შეჭყურებენ.

ერთ წელიწადზე მეტი იქნება, რაც მეოთხე რაიონის (სენაკისა და ზუგდიდის მაზრა.) მასწავლებლები დღე-დღეზე ელიან დღიურს, როგორც ეს გადაწყვეტილი იყო უმაღლესი მთავრობისაგან. ზოგიერთ მასწავლებელს თითქმის დღიური ფულები წინ და წინ ქონდა განაწილებული სხვადასხვა საჭიროებისათვის. წასული წლის დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში ერთმა ნაცნობმა მასწავლებელმა წამაკითხა თავისი ამხანაგ მასწავლებლის მონაწერი წერილის რამდენიმე მუხლი, სადაც ის, სხვათა შორის, სწერდა: „რა ვქნა, ჩემო კარგო, ირგვლივ ვალებში ვარ, ბევრი გაჭირვებისა და ახლა კიდევ აუტანელი სიძვირის გამო ლამის არის სული ამომხდეს, მაგრამ არა უშავს რა. ამას წინათ ინსპექტორთან ვიყავი და მახარა, რომ აუცილებლად მალე მიიღებთ დღიურსო, ასე რომ ყოველ საათში ველი მას.

რა კარგია იმედები? მასწავლებელს რომ რაიმე იმედი არ ქონდეს, ამდენ ხანს მარტო ფიქრით ხომ სული ამოხდებოდა, რადგან მისი ჯამაგირი ამ სიძვირის დროს მარტო წადებს უყიდის. სად არიან ინსპექტორები—მათი ბატონ-პატრონები? რათ არ შუამდგომლობენ, სადაც ჯერ არს, რომ გააუმჯობესონ სახალხო მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა, მაგრამ ქართული ანდაზაა: „მაძღარს, მშიერიც მაძღარი ეგონაო", ასე სჭირთ ბ. ბ. ინსპექტორებს. ისინი რას დაგიდევენ სხვისი მუცლის ტკივილს!

ყველაზე უფრო სამწუხარო და აუტანელია „კამანდიროვკაზე" მყოფ მასწავლებელთა მდგომარეობა, განსაკუთრებით მეოთხე რაიონში. რამდენიმე მასწავლებელი უკვე გაიყვანეს ომში და მათ ადგილზე დროებით არიან დანიშნული ახალი მასწავლებლები, რომელთა უმრავლესობასაც ქალები შეადგენენ. ესენი ღებულობენ ჯამაგირს სამხედრო ფონდიდან. აი, აგერ მეხუთე თვეა, რაც მეოთხე რაიონში „კამანდიროვკაზე" მყოფ მასწავლებელთ ჯერ ჯამაგირი არ მიუღიათ. თუ პირველ რაიონში (ქუთაისის მაზრა) ასეთმა მასწავლებლებმა უკვე სააღდგომოთ მიიღეს ჯამაგირები, რა დააშავეს მეხუთე რაიონში მყოფმა მასწავლებლებმა?

მასწავლებელთა უმრავლესობა და სხვადასხვა დაწესებულების მოხელეებმა სააღდგომოთ თითქმის აპრილის ხვედრი ჯამაგირი მიიღეს და მეოთხე რაიონში მყოფმა მასწავლებლებმა კი იანვრის ჯამაგირიც ვერ მიიღეს და დღესასწაულებში ხელ ცარიელი დარჩნენ.

იმედია, მეოთხე რაიონის ინსპექტორი ბ. გ—ა აწი მაინც უფრო ენერგიულად მოკიდებს საქმეს ხელს და თავის დროზე მიაწვდის მასწავლებელთ ჯამაგირს.

როგორც ერთმა მასწავლებელთაგანმა გადმომცა 8 ამ თვეს დ. ახალ-სენაკში სახალხო მასწავლებელთა მომხდარ კრებაზე არავის ფიქრათაც არ მოსვლია, რომ დაესვა საკითხი, თუ რა მიზეზია ხუთი თვის განმავლობაში „კამანდიროვკაზე" მყოფ მასწავლებელთ ჯამაგირი არ მიუღიათ? თუ სხვებს არ მოაგონდათ რათ სდუმდენ თვით „კამანდიროვკაზე" მყოფი მასწავლებლები?

ამ კრებაზე, სხვათა შორის, დაუდგენიათ, რომ სადვთო სჯულის ყველა მასწავლებელი, ვისაც ცენზი არა აქვს, უნდა მასწავლებლობის წოდება მოიპოვონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველანი სამსახურიდან იქნებიან დათხოვნილიო. ბატონებო! ეს სამართლიანი დადგენილება არაა, ვინაიდან სადვთო სჯულის ზოგიერთი მასწავლებელი 10—15 წლის ნამსახურია, 3—4 წელიწადი თითქმის უსასყიდლოდ უმსახურია და თავისი ოფლით სკოლის იატაკები მოურწყავს, დღეს კი ის უნდა გააძეოთ, ან 50—60 წლის მოხუც მოძღვარს ეგზამენი დააკავებინოთ?

უფრო სამართლიანობა და წესიერება იქნებოდა დაგედგინათ, რომ შემდეგში არ იქნას დანიშნული სადვთო სჯულის უცენზო მასწავლებელი, ან ახლად დანიშნული სადვთო სჯულის მასწავლებლები აგრძულებინათ, რომ შეიძინონ მასწავლებლობის წოდება.

„Civis".

*) ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა.

რედ.

## შაბიამნისა და გოგირდის საკითხის შესახებ.

ამ ბოლო დროს ზოგიერთ ადგილობრივ გაზეთში და ერთერთ სატახტო გაზეთშიც იყო დაბეჭდილი შაბიამნისა და გოგირდის შესახებ სრულიად შემცდარი აზრი. და ცნობები. წერილების ავტორნი მ. ე. ფრიდონოვს ბრალსა სდებენ—თითქოს მას მიწათმოქმედების უწყების შემწეობით მოტანილი შაბიამანი მიეყიდოს ვაჭარ-სპეკულიანტებისათვის, სამინისტროს კი უსაყვედურებდენ—ყურს არ უგდებს ამ საქმესო. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, რომ მკითხველმა საზოგადოებამ იცოდეს სიმართლე, ვსთქვა შემდეგი.

მიწათმოქმედების სამინისტრო მონდომებული იყო, რომ მემამულეთ თავის დროზე შეეძინათ ვენახებისთვის წამალი; ამიტომ 1915 წელს, ადრე შემოდგომაზე, მიმართა მევენახობის კომიტეტებს, სამეურნეო საზოგადოებათ, კოოპერატივებს და კერძო მემამულეთ, რათა მათ დაეკვეთათ დეპარტამენტისათვის შაბიამანი და გოგირდი და შეეტანათ ბეთ სამი [მეოთხედი ფასისა. ამასთან დეპარტამენტი საყოველთაოდ აცხადებდა, რომ რადგანაც ძნელია საზღვარგარეთიდან შემოტანის ნებართვის აღება, აგრეთვე გემების შოვნა და წამოღება, დეპარტამენტი არ კისრულობდა მოვალეობას, რომ დაკვეთილ საქონელს თავის დროზე ან სრულათ ჩააბარებდა დამკვეთთ.

აგრეთვე დეპარტამენტმა მოახდინა განკარგულება აღმოეჩინათ დახმარება სხვა და სხვა დაწესებულებათათვის და კერძო პირთათვის, ვინც-კი მოისურვებდა შაბიამან გოგირდის გამოწერას იმ პირობით, რომ საქონელი უნდა გაეყიდნათ გადაწყვეტილ ფასებში და მიწათმოქმედების დეპარტამენტის ორგანოების კანტროლის ქვეშ.

ასეთი დახმარება, რომელიც გამოიხატა ვალიუტის მიცემაში ინგლისიდან, საფრანგეთიდან და იტალიიდან საქონლის გამოტანის ნებართვის აღებაში, მიეცათ მოსკოვის სახალხო ბანკს, ერობებს, კოოპერატივებს და მ. ე. ფრიდონოვს.

ფრიდონოვმა იკისრა შეეძინა ინგლისში 110,000 ფუთი შაბიამანი და საფრანგეთსა და იტალიაში 70,000 ფუთი გოგირდი, რომელიც უნდა გაეყიდნა, შაბიამანის პირველი პარტია 12 მ. 45 კ. ფუთი, მეორე პარტია 14 მან. 10 კ. ფუთი და გოგირდი პირველი პარტია 6 მ. 25 კ. ფუთი. ეს ფასებია დანიშნული გემზე ქ. არხანგელსკში მოტანით. იმ საქონელზედ კი, რომელიც შვეციაზე მოდის, ჯერ მიწათმოქმედების დეპ. ფასი არ განუსაზღვრავს.

შარშან ზაფხულიდან ბ. ფრიდონოვი შეუდგა შეკვეთების მიღებას, ბევრმა კოოპერატივებმა, მომეტებულად კახეთის რაიონიდან, მევენახობის კომიტეტისაგან, ერობისაგან და სამეურნეო საზოგადოებისაგან, არამც თუ „შეკვეთა" მოუვიდა ფრიდონოვს, არამედ მათ ბეებიც წარუდგინეს.

რადგანაც ომის მიზეზებით მეტათ გაძნელდა და გართულდა საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანა რუსეთში, ბ. ფრიდონოვმა შესძლო მოეტანა არხანგელსკში წარსულ ნოემბერში მხოლოდ 12,400 ფუთი შაბიამანი. თბილისის გუბერნიის მარშლის მოადგილის თავ. მ. ა. სუმბათაშვილის შუამდგომლობით, მეფის მოადგილემ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მოახდინა განკარგულება და ეს შაბიამანი გამოიგზავნა არხანგელსკიდან და მოვიდა თბილისში იანვრის ბოლო რიცხვებში. ეს თორმეტი ათას ოთხასი ფუთი შაბიამანი მიეცათ მევენახობის კომიტეტებს ორდერებით: 27 კოოპერატივს 8989 ფუთი ❧ 20 გირ. დანარჩენი კი დაურიგდათ 266 სხვადასხვა სამეურნეო და საერობო ორგანიზაციებს და კერძო მემამულეთ, რომელთა სიაც წარდგენილი ჰქონდა მიწათმოქმ. დეპარტამენტს, მიწათმოქმ. რწმუნებულთან კავკასიაში და თბილისის მევენახობის კომიტეტს.

შაბიამნის მეორე პარტია 18,600, ფუთი გემებმა ველარ მოიტანეს არხანგელსკში, რადგანაც ზღვა ნოემბრის ბოლოს გაიყინა და ჩარჩა ქალაქ ალექსანდროვსკის ნავსადგურში.

შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შაბიამანი გადმოეტანათ არხანგელსკში ყინულის მტვრეველ გემებით, არ იქნა შეწყნარებული, რადგანაც საჩქაროთ საომარი მასალა გადმოქონდათ. ახლა კი, როცა ყინული გადნა და გემთა მიმოსვლა დაიწყო, ეს მეორე პარტია წამოსულია არხანგელსკში, საიდანაც დეპარტამენტის დახმარებით საჩქარო მატარებლით (Маршрутными поѣздами) გამოიგზავნება მევენახობის რაიონებში. ამ მეორე პარტიის განაწილება ბ. ფრიდონოვმამე წარმომიდგინა დასამტკიცებლათ. ახლო მომავალში. ბ. ფრიდონოვი ელის არხანგელსკში 36,000 ფუთამდე გოგირდს და 31,000 ფუთამდე შაბიამანს, შვეციაზედაც მოაქვს 6,800 ფუთი შაბიამანი. ამის შემდეგ შეძლებისადაგვარათ მოვა დანარჩენი პარტიებიც. გარდა ამისა კავკასიაში მოვა გოგირდ შაბიამანი, რომელიც არის შეძენილი დეპარტამენტის დახმარებით, მოსკოვის სახალხო ბანკის, თელავის საკრედიტო ამხანაგობის (12,400 ფუთი) და ვლადივოსტოკიდან მოველოდები 37,000 ფუთ გოგირდს, რომელიც ჩემს სახელზე არის გამოგზავნილი მისი იმპერ. უმაღ. პრინცი ა. პ. ოლდენბურგის განკარგულებით. ამ გოგირდიდან 24 ვაგონს ველით ბალაჯარაში 15 მაისისათვის.

მაშასადამე, გოგირდ-შაბიამნის გადმოტანა მოკავშირე სახელმწიფოებიდან შესაძლოა მხოლოდ მიწათმოქმედების სამინისტროს ნებართვით. საქონელი მოვა თუ არა რუსეთში, დამოკნა მაშინვე დაწვრილებითი ცნობებს აწვდის მიწადმოქმედების დეპარტამენტს და მხოლოდ მთავრობის დახმარებით შეიძლება საქონლის გადმოტანა რკინის გზებით რუსეთის იმპერიაში. და მე როგორც სასურსათო საქმის თავმჯდომარე, ვიცი, თუ რა საქონელი იგზავნება კავკასიისაკენ.

ამგვარად იმის მტკიცება, რომ ფრიდონოვმა შემოიტანა მეტი შაბიამანი და მიჰყიდა სპეკულიანტებს სრულიად სიმართლე არ არის.

ადგილობრივ რომ შაბიამანი იყიდება დიდ ფასებში—ეს შაბიამანი ზოგი შარშანდლიდან დარჩენილია და ზოგიც რუსეთის ქარხნებშია გაკეთებული.

მიუხედავად ყოველ... ...ებისა, წამალი ჯერ მოვიდა თავის დროზე, რუსეთში, ეს, ...ომის, რომელიც მეტად აფერხებს შემოტანასაც საზღვარგარეთიდან და აგრეთვე ჩვენი რკინის გზებით გადმოტანასაც, და ასეთი გარემოება ავიწროებს და აძნელებს ხალხისათვის სხვადასხვა გვარ საჭიროების დაკმაყოფილებასაც.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე შაბიამანი-გოგირდი მოვა და ეს საკითხი ასე გამწვავებული აღარ იქნება.

ვსთხოვ იმ გაზეთებს, რომელშიაც იყო მოთავსებული წერილები შაბიამანის შესახებ, გადაბეჭდონ ეს წერილიც.

მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებული კავკასიაში. (თ. აზ)

გ. შაშკოვსკი.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო"**



**რკინის გზის მიმოსვლა.**
(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. 5 წ. | |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 55 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 45 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 25 | „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 31 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. 55 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. 5 | „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 30 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 10 | „ |
| „ | — დილის | — 6 ს. — | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 13 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს. 25 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 6 ს. 25 | „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასევაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გას.ჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაკტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი"**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოდ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ურდგულესი **ია. ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)